• ბიჭვინთის მზიანი საოთხულები •



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის დიდებული კერა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 182 (13874)

შაბათი, 5 აგვისტო, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

ჩვენს მკითხველებს!

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ბიჭვინთის ზღვისა და მზის სუნთქვას იგრძნობთ. აქ მოთხრობილია უდიდესი კურორტის მშენებლობაზე და იმ მკლავმოუღლელ ადამიანებზე, რომლებმაც საქართველოს ყოველი კუთხიდან მოიყარეს თავი ბიჭვინთაში და მკვიდრად, საშვილიშვილოდ აგებენ ჯანმრთელობის დიდებულ კერას.

კომუნიზმი რეალური ჰუმანიზმის განსახიერებაა. „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის"—პარტიის პროგრამული პრინციპია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი".

სიტყვა ეძლევათ მშენებლებს:

მობრძანდით სანოემბროდ!

საიუბილეო საჩუქარი

გ. ვაშაკიძე,
საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი

ყოველდღიურად სულ უფრო შესამჩნევი ხდება ჩვენი ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება. ჩვენი პარტია და მთავრობა განუხრელად ზრუნავენ, რომ საბჭოთა ადამიანი რაც შეიძლება მეტ სიკეთეს ეზიაროს. ამ ზრუნვის ერთ-ერთი შკაფიო მაგალითია კურორტ ბიჭვინთის გრანდიოზული მშენებლობა. იგი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის წინასაიუბილეო დღეებში ჩადგება ხალხის სამსახურში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით, საქართველოს კომპარტიისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველდღიური დახმარებით მოკლე ვადაში შესაძლებელი გახდა ამ გრანდიოზული საკურორტო მშენებლობის განხორციელება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში კურორტი ბიჭვინთა ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. მართალია, ცნობილი კურორტები თავიანთი ისტორიის რამდენნიმე ათეული წელიწადს ითვლიან, ხოლო ბიჭვინთას სულ რამდენიმე წლის ისტორია აქვს, მაგრამ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მეტყველებს უნიკალური მრავალსართულიანი ნაგებობები, მათი შიდა მოწყობილობა, შენობების განლაგება. კოშკური, არქიტექტურული და საინჟინრო აზრის გაქანება.

აქ ბევრი რამ შეიცვალა. გადაკეთდა დაიხვეწა და უფრო სრულყოფილი გახდა პროექტები. მართალია, მშენებლობას საძირკველი 1961 წელს ჩაეყარა, მაგრამ ფაქტიურად გაშლილი მშენებლობა იმ სახით, როგორიც იგი ღღეს არის, ორწელიწადზე ნაკლებია მიმდინარეობს. ამიტომ უნდა აღინიშნოს ის შრომითი გმირობა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის მშენებლებმა გასწიეს.

როდესაც გადაწყდა კურორტ ბიჭვინთის საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისათვის ჩაბარება, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ყოველგვარი დახმარება გაეწია მშენებლებისათვის. სამინისტროს ძირითადი სამშენებლო ტრესტები და სამმართველოები, როგორიც არის თბილისმთავარმშენი, გორის № 9 ტრესტი, ჭიათურის № 8 ტრესტი, ქუთაისის № 4 ტრესტი, თბილისის № 3 ტრესტი, ტრესტი „საქმშენინდუსტრია" აქტიურად ჩაებნენ მუშაობაში. მშენებლობა უზრუნველყოფილია უმაღლესი ხარისხის ყველა საჭირო მასალით. მშენებლობაზე მოვიდნენ მუშები, სპეციალისტები, რომელთა საერთო რიცხვი დღეისათვის ათას შვიდას კაცს აღწევს.

სპეციალურ სამუშაოებს აწარმოებენ „საქსანტექნიკის", „საქმრწყვენტილაციის", „კავსანტექნიკის", „სოიუზლიფტმონტაჟის" სამმართველოებისა და უბნების სპეციალისტები.

რესპუბლიკასთან ერთად მთელი ჩვენი ქვეყანა აშენებს ბიჭვინთას. საშენი მასალები მოდის არა მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან, არამედ სოციალისტური ქვეყნებიდანაც.

მშენებლებს დიდ დახმარებას უწევს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო და საქართველოს სსრ საშენ მასალათა სამინისტრო.

ტრესტი „ბიჭვინთაშენი" ახალგაზრდა ორგანიზაციაა, მშენებლებს ბევრი სიახლის ათვისება და მშენებლობაში დანერგვა ადგილზევე მოუხდათ, მაგრამ შესანიშნავად გაართვეს თავი ყველა ამოცანას და მათ მიერ დღემდე გაწეული სამუშაოები საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სიტყვას პირნათლად და დროულად შეასრულებენ.

აქ შრომობს გამოცდილი, მრავალეროვანი შედეგებებული კოლექტივი, რომელსაც ერთი მიზანი აერთიანებს. და არსად ისე არ იჭედება მეგობრობა და ძმობა, როგორც შრომასა და საერთო მიზნრაფებაში. თვითეული ადამიანი მონდომებით აკეთებს თავის საქმეს, აკეთებს უმაღლეს დონეზე. სხვანაირად წარმოუდგენელიც არის, ზოგჯერ ზედმეტსაც შრომობენ, რომ ნახევავი საუკეთესო იყოს.

კურორტის მშენებლებს დიდი მიღწევები აქვთ. გული სიამაყით გვესება ამ გიგანტურ სამშენებლო მოედანს რომ გადახედავ.

სამი ათასი ადამიანი დაისვენებს აქ ერთდროულად, მათ განკარგულებაში იქნება არა მარტო კომფორტული სასტუმრო-პანსიონატები, არამედ ყოველივე ის, რაც საჭიროა კულტურული დასვენებისათვის და ჯანმრთელობის გაკაჟებისათვის.

ზღვა, ტყე, ლამაზი ბუნება, შესანიშნავი სასტუმრო-პანსიონატები კურორტ ბიჭვინთას საბჭოთა ხალხის ერთ-ერთ საყვარელ დასასვენებელ ადგილად გადააქცევს.

სახელოვან იუბილეს ბიჭვინთის მშენებლები შრომითი გამარჯვებით შეხვდებიან. აღებული ტემპი, შრომითი ენთუზიაზმი, რომელიც აქ სუფევს, იმის გარანტიაა, რომ კიდევ ერთი დიდი გამარჯვება იქნება მოპოვებული, და სამშობლო, ჩვენი ხალხი შესანიშნავ საჩუქარს მიიღებს.

ტოლი არ ეყოლება

ა. გულია,
ტრესტ „ბიჭვინთმშენის" მმართველი

ამას წინათ საზღვარგარეთის 21 ქვეყნის კურორტების ხელმძღვანელები და მუშაკები გვესტუმრნენ. მშენებლობა დაათვალიერეს და ერთხმად განაცხადეს, რომ მსგავსი არაფერი უნახავთ.

და მართლაც, იშვიათია ასეთი დასასვენებელი ადგილი. კრიალა ზღვა, თავანკარა ფიქშვარი და კომპლექსური ნაგებობანი ისე ჰარმონიულად ერწყმიან ერთმანეთს, რომ ნამდვილად თვალწარმტაცია.

მშენებლობაზე 36.500 ათასი მანეთი იხარჯება. როგორც მოსაპირკეთებელი საშენი მასალები, ისე დანადგარები, მოწყობილობა, ლიფტები და სხვ., უმაღლესი ხარისხისაა. ძვირფას სამშენებლო მასალებს გემოვნებითა და სიყვარულით იყენებენ და შედეგიც ნამდვილად კარგია.

მაღალი ხარისხი — აი თვითეული მუშისა თუ ინჟინრის მთავარი საზრუნავი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისათვის, უფრო სწორად კი 1 ნოემბრისათვის კურორტი ბიჭვინთა მზად იქნება და უკვე პირველ დამკვენებლებს მიიღებს, დარჩენილ დროში კვლავ შევარ სამუშაო გვაქვს. მაგრამ სიძნელეები არ გვაშინებს, ითა უმეტეს, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტები და სამმართველოები დიდ მეგობრულ დახმარებას გვიწევენ.

აქვე მიხდა აღვნიშნო ის ყოველდღიური მუშაობა, რასაც ეწევიან საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტი და პარტიის გაგრის რაიონული კომიტეტი ჩვენი მშენებლობის კომუნისტთა დარაზმვის საქმეში.

აქტიურ მონაწილეობას იღებენ კურორტის მშენებლობაში ტრესტი „მთავართბილისმშენი" (მმართველი გ. შენგელია, სამმართველოს უფროსი შ. შალიკაშვილი), ტრესტი № 3 (მმართველი კ. ჭანკვეტაძე, სამმართველოს უფროსი გ. ოდიდეტი), ტრესტი № 4 (მმართველი ო. ბიბილეიშვილი, უბნის უფროსი შ. ყუბანეიშვილი), ტრესტი № 8 (მმართველი გ. შანიძე, სამმართველოს უფროსი ს. მახათაძე), ტრესტი № 9 (მმართველი ე. ქარუმიძე, სამმართველოს უფროსი ზ. კარაპეტიანი), ტრესტი „საქმშენინდუსტრია" (მმართველი კ. გოგიჩაიშვილი, სამმართველოს უფროსი ო. გველესიანი). მთელ მოსაპირკეთებელ სამუშაოებს ეს ორგანიზაციები აწარმოებენ და „ბიჭვინთმშენის" ტრუსტთან ერთად დაუღალავად შრომობენ საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

ჩვენი ტრესტის სამი სამმართველო უშუალოდ მონაწილეობს კურორტის მშენებლობაში. სამმართველოებს ახალგაზრდა ინჟინრები, კომუნისტები გ. კვარაცხელია, ე. იაკობაშვილი, რ. კოპალიანი ხელმძღვანელობენ. სამმართველოებმა გადაჭარბებით შეასრულეს ნახევარი წლის დავალება და დიდი ენთუზიაზმით, შრომის მაღალი ნაყოფიერებით სამუშაოთა მაღალ ხარისხიანობას მიაღწიეს. უახლოეს დროში ამენდება საავადმყოფო, მაჩვენების სადგომი, ქარხული სამუალო სკოლა.

მშენებლობის ყოველ უბანზე გაცხოველებული მუშაობა. ყველას კარგად აქვს შეგნებული ის დიდი ამოცანა, რომელიც გვავალებს კურორტ ბიჭვინთის დროულად ჩაბარებას. ეს პატრიოტული საქმეა, და მშენებლისათვის იმაზე ბედნიერი დღე არ არსებობს, როცა თავის ნამოღვაწარს ადამიანთა სამსახურში ჩაყენებულს იხილავს.

გავა კიდევ ცოტა დრო, და საქართველოს ეს ულამაზესი კურორტი, რომელაც ტოლი არ ეყოლება, ახმაურებდა ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსული მეგობრებითა და სტუმრებით.

ჩვენ კი, მშენებლები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ადამიანებმა აქ სანიმშოდ დაისვენონ.

ესოლოდ სიასწრე

ბ. ჯიქია,
ტრესტ „ბიჭვინთმშენის" მთავარი ინჟინერი

მშენებლობის პროცესში მრავალი საინჟინრო სიახლე იქნა დანერგილი და გამოყენებული. ახლებურად მოეწყო შრომა. მაგალითად, რესპუბლიკაში პირველად იქნა გამოყენებული ქსელური გრაფიკით მუშაობა, რომელიც გამორიჩევა სამუშაოთა დაგეგმვის ელასტიურობით, ოპერატიულობით, ზუსტი გრაფიკით. ამ წესით მუშაობისას ნათლად და სწრაფად ჩანს ჩამორჩენილობა და სამუშაოები გვაძლევს მთელი ყურადღება მის აღმოფხვრაზე გადავიტანოთ. უადა ითქვას, რომ ამან კარგი შედეგი გამოიღო.

ასევე პირველად იქნა გამოყენებული მაღლივი მშენებლობისას ასაწყობი ბეტონის კონსტრუქციები. ბიჭვინთის მშენებელთა ინიციატიით არქიტექტორებმა მრავალი სიახლე შეიტანეს პროექტებში. მაგალითად, პატარა კორპუსებზე არ იყო გათვალისწინებული მე-15 სართულის გამოყენება, ახლა კი აქ კაფე და სოლარიუმები იქნება, რაც დასრულებულ სახეს აძლევს შენობას. ლოჯიებშიც ჩვეულებრივი მოაჯირები იყო გათვალისწინებული, ახლა კი არმირებული მინა ჩასმული იქნება ალუმინის ჩარჩოში. იატაკები დერეფნებში დაიგება მრავალფეროვანი ხალიჩებით, საღებავის ნაცვლად გამოყენებული იქნება აბრეშუმისებური შპალერი, რომელიც ირეცხება და აწმინდება.

საკურორტო დარბაზის ვიტრაჟებში, კინოდარბაზის მხრიდან ფირუზისფერი მინა-სტემოლიტი ჩაისმება, თვით შენობა კი მთლიანად აუყობელია ასაწყობი და მონოლითური რკინაბეტონისაგან. განსაკუთრებით ლამაზია მისი შიდა. ჩამოკიდებული მესამე სართული, რომელშიც კაფე იქნება. სანაპირო მოპირკეთებული იქნება რუხი ბაზალტით, განთიადის თეთრი და ვარდისფერი, თეთრწყაროს ყვითელი ქვებით.

ახლა თანდათანობით ყველაფერი ყოველდღიურად სულ უფრო დასრულებულ სახეს იღებს. უკვე ნათლად შეიძლება წარმოიდგინოს მნახველმა, თუ როგორი იქნება ზომავალი კურორტი.

სწრაფმავალი ლიფტი დამსვენებელს წამში ექვსი მეტრის სიჩქარით აიყვანს ბოლო სართულზე, საიდანაც შესანიშნავი სანახაობა გადაიშლება.

საზეიმოდ დაიხურა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა

მოსკოვი, 4 აგვისტო. (საკდესი). დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ დაიხურა საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა.

სპარტაკიადა სპორტის, სიჭაბუკისა და ჯანმრთელობის შესანიშნავი ღღესასწაული იყო. ასპარეზობათა დროს დამყარებულია 16 ახალი მსოფლიო და ევროპის რეკორდი, გაუმჯობესდა ათასზე მეტი სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური რეკორდი. 9 მილიონზე მეტი სპორტსმენი თანრიგოსანი გახდა, ასი ათასზე მეტმა შეასრულა პირველი თანრიგის ნორმა, 15 ათასზე მეტმა — სსრ კავშირის სპორტის ოსტატის კანდიდატისა და სპორტის ოსტატის ნორმა. სპარტაკიადამ გამოავლინა ახალი სპორტსმენები, ბიძგი მისცა საბჭოთა სპორტის ოსტატობისა და მასობრიობის შემდგომ ზრდას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მთავარი პრიზი საერთო გუნდური გამარჯვებისათვის დაიმსახურეს მოსკოვის სპორტსმენებმა.

დასასრულ გაიმართა სპარტაკიადის მარშ-პარადი, შემდეგ კი მოედანზე გამოვიდნენ სსრ კავშირისა და პოლონეთის ფეხბურთელები, რომლებმაც ოლიმპიური მატჩი მოაწყეს.

ზრომიოს ვახტაზე

გარდამავალი წითელი დროშა ბიჭვინთის მშენებლებს

ბაბრა. (საქდესი). მიმდინარე საიუბილეო წელს მესამედ შეიკრიბნენ თავიანთ კლუბში კურორტ ბიჭვინთის მშენებლები, რომ პატივი სცენ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ პროგრესული ქსელური გრაფიკის წარმატებით შესრულებისათვის.

ამჯერად მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია მსაპარტმშენლმმენის № 9 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა (უფროსი შ. შალიკაშვილი). მისი უბანი ინჟინერ გ. გორგიძის ხელმძღვანელობით საეპსლოატაციოდ გადაცემის წინა დღეებში აწარმოებს № 7 15-სართულიანი სასტუმრო-პანსიონატის კორპუსის მოსაპირკეთებელ სამუშაოებს. ბიჭვინთელებთან დასახმარებლად ჩასულმა თბილისელმა მშენებლებმა ივხისის მუხობრი შედეგების მიხედვით მოიპოვეს მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ბიჭვინთელ მშენებლებს ამ დღეებში ეწვევიან საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. კიკნაძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ა. ძაძუა, პარტიის გაგრის რაიკომისა და აკურორტ სამმართველოების პასუხისმგებელი მუშაკები.

„ბიჭვინთმშენის" ტრესტის გაერთიანებული საშენებლო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ქებურიამ გახსნა საზეიმო საღამო და სიტყვა მისცა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარეს შ. კიკნაძეს.

ამს. კიკნაძემ მზურვალედ მიულოცა შეჯიბრებაში გამარჯვებულთ და მთავართბილისმშენის № 9 სამშენებლო სამმართველოს სამშენებლო უბნის უფროსს გ. გორგიძეს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა.

კომპლექსური ბრიგადების ბრიგადირებმა თ. ლომიძემ, შ. ბერიძემ, ხ. ხიდაშელმა, რ. ეჯიბიამ, ინჟინერმა ე. იაკობაშვილმა ილაპარაკეს, თუ როგორი დაძაბულობით შრომობენ საიუბილეო ვახტზე მშენებლები, რომლებმაც გადაწყვეტეს ყოველივე იღონონ იმისათვის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისათვის კურორტმა მიიღოს პირველი დამსვენებლები.

შეჯიბრების თბილისელთა ნარმატება

ჭიათურა. (საკ. კორ.). რესპუბლიკაში სხეულიელი სოციალისტური შეჯიბრების თაოსნებმა. — ეიათურელმა მაღაროელებმა, რომლებიც ნიკოლელ თანამშრომლებს ეჯიბრებიან, ახალი შრომითი წარმატება მოიპოვეს.

ლენინის ორდენოსანმა მარგანეცის ტრუსტის კოლექტივმა ორი კვირით ადრე შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების შვიდი თვის დავალება, თვითეულებულების შემცირება დაზოგა 172.700 მანეთი და „აგვისტოს ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა ათობით ეშელონი მაღალხარისხოვანი მადანი.

აღმავლობით მუშაობენ კალინინის, ორჯონიკიძის სახელობის, პერეკოპის მაღაროთა კოლექტივები.

• თქვენს მარჯვენას დალოცავენ!

სურათზე: კურორტ ბიჭვინთის მშენებელთა ერთი ჯგუფი (მარჯვნიდან) — „ბიჭვინთმშენის" პირველი სამმართველოს მთავარი ინჟინერი ჯ. ტოგონიძე, კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ს. ნადირაშვილი, „საქმშენინდუსტრიის" სამშენებლო უბნის მძღოლი ხელოსანი ო. სულუხია, „ბიჭვინთმშენის" № 1 სამმართველოს მლესავები კ. მურჯიკნელი, ლ. ჭაკნელიძე, ლ. ნიკიტენკო, „მთავართბილისმშენის" № 3 ტრესტის მე-4 სამმართველოს დურგალი ნ. ზურაბიშვილი, „ბიჭვინთმშენის" № 1 სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ქვესმთელი კ. ბაზოევი, № 8 ტრესტის (ბესტაფონი) კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი მ. გაჩეჩილაძე, „ბიჭვინთმშენის" № 1 სამმართველოს დურგალი ბ. მეტრეველი, „იუჟსტალკონსტრუქციის" კონსტრუქტორთა ბრიგადის ხელმძღვანელი კ. კოპინი, „იუჟსტალკონსტრუქციის" მემონტაჟე ვ. ვინოგრადოვი.

სიტყვა ეძლევათ მშენებლებს:

მობრძანდით სანოემბროდ!

თქვენს მარჯვენას დალოცავენ!

ხსურათზე: ტრესტ „ბიჭვინთმშენის“ № 3 სამმართველოს მოწინავე მუშების ერთი ჯგუფი. (მარცხნიდან) მლესავთა ბრიგადის ხელმძღვანელი მ. შარიქაძე, დურგალი ბ. არჩვაძე, ელექტროშემდუღებელი ა. პეტრუშაინი. კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი გ. გეგეჭკორი, სანტექნიკოსი ა. ნიკონოვი, მლესავი დ. გეთიაშვილი, მუმონტაჟეები ვ. ანიხოვსკი, ნ. გა ნენკო, ა. სმირი, კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. ოკაბინი.

ეს ჩვენი ვალია, ოქტომბერმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპაჭიო და პასუხსაგები

ჩვენი სამმართველო აშენებს № 2 და № 3 სასტუმრო-პანსიონატებს, საკურორტო დარბაზს, ხაზღვაო ვაგზალს, ღია ხაცურავ აუზს, სამმართველოში შემოდის № 4 და № 5 სასტუმრო-პანსიონატებიც, რომელთა დამთავრებაში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 და № 4 ტრესტები მონაწილეობენ.

სამმართველოში შემავალი ობიექტები I ნოემბრისათვის უნდა დამთავრდეს. № 2 და № 3 სასტუმრო-პანსიონატები უკვე 15 სექტემბრისათვის უნდა იყოს მზად. ოქტომბერში კი უნდა დავამთავროთ საკურორტო დარბაზის მშენებლობა, რომელიც, არ შეიძლება არა ვთქვა, მთელი კურორტის მშვენება იქნება. არქიტექტურული სახით, მშენებლობის მოწინავე მეთოდების თვალსაზრისით იგი მეტად საინტერესო ნაგებობაა.

ნახევარი წლის გეგმა სამმართველომ 104 პროცენტით გაანაღდა, ჩვენთან საქმის მცოდნე და მონდომებული ადამიანები შრომობენ, რომლებმაც იციან და უყვართ თავიანთი საქმე. მშენებლობის დაწყებიდან მუშაობს აქ უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი გ. გასვიანი, რომელიც შესანიშნავად ხელმძღვანელობს უბანს. არ შეიძლება არ დავასახელოთ უფროსი სამუშაოთა მწარმოებლები ი. ცუცქირიძე და ვ. ფერაძე. ისინი ყოველთვის იქ არიან, სადაც ჭირს. საკურორტო დარბაზის მშენებლობაზე თავი ისახელა მემონტაჟეთა კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც ა. გუცი ხელმძღვანელობს. წარმატებით შრომობენ და დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ანაღდებენ ო. გელაშვილის, ს. ნადირაშვილის კომპლექსური ბრიგადები, რ. ბეჟანიშვილის მომპირკეთებელთა ბრიგადა.

ლენტეხიდან ჩამოვიდნენ ვაჟკაცი სვანები, შეუდრეკელნი და დაუზარებელნი შრომაში. ისინი კომპლექსურ ბრიგადაში არიან გაერთიანებულნი და თავიანთი ბრიგადირის კ. ონიანის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს აღწევენ.

ამოცანა, რომელიც ჩვენ გვაკისრია, საპატიო და პასუხსაგებია. სამმართველოს თვითეული მუშაკი გამსჭვალულია იმის შეგნებით, რომ არ დაზოგოს ძალა და ენერგია, იმუშაოს ისე, რომ პირნათლად, ღირსეულად შეხვდეს საიუბილეო თარიღს.

გ. კვარაცხელია,
ტრესტ „ბიჭვინთმშენის“ № 1 სამმართველოს უფროსი.

დროულად და ხარისხიანად

ე. იაკობაშვილი,
ტრესტ „ბიჭვინთმშენის“ № 2 სამმართველოს უფროსი.

ათასსამასალგზილიანი სახადილო, ათასადგილიანი კინოთეატრი და სასტუმრო-პანსიონატების მე-6, მე-7 და მე-8 კორპუსები — აი ობიექტები, რომლებსაც ჩვენი სამმართველო აშენებს.

პირველად მე-6 კორპუსს ჩავაბარებთ. ეს უკვე 15 სექტემბერს მოხდება. მოსაპირკეთებელ სამუშაოებს აწარმოებენ გორის მე-9 სამმართველო, „თბილისმთავარმშენი“, ქუთაისის მე-4 ტრესტის მომპირკეთებელთა სამმართველო. ნახევარი წლის გეგმა 114 პროცენტით იქნა განაღდებული.

ალბათ მსოფლიოში პირველად, აქ ჩვენთან იქნება შუქურა შენობის თავზე. ძველი შუქურა, რომელიც კორპუსებს შორის დგას, მხოლოდ ისტორიულ ძეგლად დარჩება, ახალი კი მე-8 კორპუსის მე-15 სართულზე ავიტანეთ. იგი თითქოს შენობის თავზეა ჩამოკიდებული, სოლო რკინაბეტონის კონსტრუქცია ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ზღვისაკენ მიიხწრაფოდეს.

სამმართველოს მთელი კოლექტივი ამაყობს მოპოვებული წარმატებებით, რისთვისაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაეკმასხურეთ, ეს მომავალში კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. მიღწევებში დიდი წვლილი შეიტანეს სამუშაოთა უფროსმა მწარმოებლებმა ი. ჩხეიძემ, გ. გორგოშიძემ, ბ. ყუბანეიშვილმა, ი. იუფეროვმა. კომუნისტური შრომის კომპლექსურმა ბრიგადებმა, რომელსაც შ. ბერიძე, მ. სტრეკოზი, რ. გოგიაშვილი ხელმძღვანელობენ, ერთდროულად მრავალ სპეციალობას ფლობენ მუშები ნ. ყურაშვილი, პ. გოლუბევი, ნ. ოგანიანი და სხვ. ისინი ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ და ოავდადებული შრომით გაითქვეს სახელი.

ჩვენი მიზანია, დროულად და ხარისხიანად დავამთავროთ მშენებლობა, დავიმსახუროთ დამსვენებელთა მადლობა.

გ. ბაბალიანი,
ტრესტ „ბიჭვინთმშენის“ № 3 სამმართველოს უფროსი.

დაქაბული შრომის დღეები

რ. კოპალიანი,
ტრესტ „ბიჭვინთმშენის“ № 3 სამმართველოს უფროსი.

პირველი და მეორე სამმართველოებისაგან განსხვავებით ჩვენ არ გაშენებთ სასტუმრო-პანსიონატებს, მაგრამ ის, რაც № 3 სამმართველოს ძალებით კეთდება, აუცილებელია კურორტისათვის. ეს არის წყალსადენი, კანალიზაცია, საცხოვრებელი სახლები მომსახურე პერსონალისათვის. ერთი — 44-ბინიანი — უკვე მზად არის, მეორეს მალე დავამთავრებთ, ქარხანა-საბზარეულო მთელი კურორტისათვის და ბიჭვინთის მთელი დასახლებისათვის, საშხაპე-საბოილერო, სამრეცხაო, ადმინისტრაციულ-სავაჭრო ცენტრი. ამ უკანასკნელში განლაგებული იქნება სატელეფონო სადგური, კურორტის დირექცია, მაღაზიები და სხვ.

კარგად ვიცით, რომ ჩვენთვის დაკისრებული სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე ბევრად არის დამოკიდებული მთლიანად კურორტის საქალაქოტიპიოდ გადაცემა, ამიტომ სამმართველოს თვითეული მუშაკი გაორკეცებული ენერგიით შრომობს. არ შეიძლება არ დავასახელოთ ის ადამიანები, რომლებიც მოწინავეთა შორის არიან. სისტემატურად 150-160 პროცენტით ასრულებენ გეგმებს მლესავი მ. შარიქაძე, მემონტაჟეები ი. სმირი და გ. ჭელიძე, მემონტაჟე ვ. ანიხოვსკი. შრომით გაითქვეს სახელი კომუნისტური შრომის კომპლექსურმა ბრიგადამ გ. გეგეჭკორის მეთაურობით, ნ. ოკაბინის კომპლექსურმა ბრიგადამ, გ. ლონდაძის მემონტაჟეთა ბრიგადამ და სხვ. საქმის ცოდნით ხელმძღვანელობენ უბნებს უფროსი სამუშაოთა მწარმოებლები ნ. სანაძე და ი. მინოლიანი.

ახლა მშენებლობაზე დაძაბული მუშაობის დღეებია, დროცოტაა დარჩენილი. მაგრამ ადამიანთა ენთუზიაზმი, თავდადება ყველა სიძნელეს დაძლევს.

თანამშრომლობა ვითარდება

ბუქარესტი, 4 აგვისტო. (საკდესი). აქ ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუმინეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტექნიკურ-ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმებით გათვალისწინებულია, რომ რუმინეთის საწარმოები და დასავლეთ გერმანიის ფირმები განავითარებენ თანამშრომლობას პროდუქციის, უწინარეს ყოვლისა მანქანებისა და მოწყობილობის წარმოებისა და გასაღების დარგში. იწარმოებს ტექნიკური დოკუმენტაციის, ლიცენზიების, აგრეთვე საქონლის ნიმუშების გაცვლა.

შეთანხმებას ხელს აწერენ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი კ. მენესკუ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. ბრანდტი.

ბუქარესტი, 4 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. ბრანდტი გუშინ ეწვია რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს კ. მენესკუს.

როგორც აჯარპრესის საგანგებო აუწყება, სუბბრის დროს განიხილეს ორი სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხები, ეკონომიური, პოლიტიკურ, მეცნიერულ, ტექნიკურ და სხვა დარგებში ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობანი. იმსჯელეს აგრეთვე საერთაშორისო ვითარების აქტიურ საკითხებზე.

ჯანკარლო პაიეტას განცხადება

რომი, 3 აგვისტო. (საკდესი). იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია დაბრუნდა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სირიაში მოგზაურობიდან. „ჩვენ ვიყავით ქვეყნებში, რომლებიც ძალიან დაზარალდნენ ომის შედეგად, მაგრამ საშუალება არ მისცეს მოწინააღმდეგეს მიეღწია მთავარი მიზნისათვის — დაემხო მთავრობები, რომლებიც ესწრაფვიან ეროვნულ ერთობასა და დამოუკიდებლობას, განაცხადა რომის აეროპორტში იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობისა და პოლიტბიუროს წევრმა ჯანკარლო პაიეტამ. — სწორედ ამიტომ ეს ქვეყნები გრძნობენ, რომ კვლავაც მოელით საფრთხე და ესმით, რომ მშვიდობა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლახვარს ჩასცემენ აგრესიულ იმპერიალისტურ სტრატეგიას და უწინარეს ყოვლისა ისრაელს გააყვანინებენ ჯარებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან“.

ჯანკარლო პაიეტამ აღნიშნა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სირიის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებთან საუბრების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხმელთაშუა ზღვის რაიონში შექმნილ ვითარებას, სადაც „ამერიკის შეიარაღებული ძალების ყოფნა (საბერძნეთიდან ახლო აღმოსავლეთამდე) ამკამად საფრთხეს უქმნის ყველა ქვეყანას“.

ჯანკარლო პაიეტამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იტალიის კომპარტიის დელეგაციის შეხვედრები არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სირიის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებთან მიმდინარეობდა გულწრფელ და გულიანად ვითარებაში.

ნიგერის ეროვნული დღესასწაული

ბამაკო, 4 აგვისტო. (საკდესი). აფრიკის კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ნიგერის რესპუბლიკამ გუშინ აღნიშნა დამოუკიდებლობის გამოცხადების მეშვიდე წლისთავი. ნიგერის დედაქალაქ ნიამეში გაიმართა სამხედრო პარადი. ქალაქის ქუჩებში ჩაიარეს დემონსტრანტთა კოლონებმა.

ეროვნული დღესასწაულის გამო სიტყვა წარმოთქვა ნიგერის პრეზიდენტმა ამანი დიორიმ, რომელმაც განაცხადა, რომ „ნიგერის მოლიტიკური ერთობა ყოველდღიურად მტკიცდება“.

ემბარგო კვლავ ძალაშია

ბეირუთი, 3 აგვისტო. (საკდესი). „ირაკ პეტროლეუმ კომპანიის“ ბეირუთის წარმომადგენლობამ გამოაცხადა, რომ ხელახლა მიაწვდის ნავთობს „ევროპის ყველა ქვეყანას ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის გარდა“. ცნობაში ნათქვამია, რომ სირიისა და ლიბანის მთავრობები დათანხმდნენ გაგზავნონ ნავთობი ევროპის ქვეყნებში ბანიასისა და ტრიპოლის ნავსადგურებიდან, სადაც გაყვანილია „ირაკ პეტროლეუმ კომპანის“ ნავთობსადენები, რომლებთანაც გზავნიან ერაყის მთელი ნავთობის 70 პროცენტს. „ირაკ პეტროლეუმ კომპანის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კვლავ ძალაში რჩება აგრეთვე ემბარგო შეერთებულ შტატებში ნავთობის ექსპორტზე.

სოლიდარობის კონფერენცია

კვანა, 3 აგვისტო. (საკდესი). ლათინური ქვეყნების სოლიდარობის ორგანიზაციის პირველი კონფერენციის მლენარულ სხდომებზე, რომლებიც გუშინ გაიმართა, გამოვიდნენ კუბის, ურუგვაის, გვატემალის, ვენესუელისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ორგანიზაციულ საკითხებში არმანდო ხარტ დავალსმა და ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა როდნეი არისმენდიმ გადაჭრით დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური პოლიტიკა კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში. ორატორებმა გამოთქვეს აზრი, რომ საჭიროა ლათინური ამერიკის ხალხთა ერთობის შემდგომი განმტკიცება ადგილობრივი ოლიგარქიებისა და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამერიკელ პოლიტიკანთა მორიგი ფარსი

ნიუ-იორკი, 4 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატები და მათი დამქაშები ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციიდან ასალ შეტევას ამზადებენ თავისუფლების კუნძულის წინააღმდეგ. დღეს მათ გამოაცხადეს, რომ 22 სექტემბერს ვაშინგტონში გაიხსნება ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია. დღის წესრიგში იქნება ვენესუელის მთავრობის პროვოკაციული საჩივარი ლათინურ ამერიკაში „კუბის ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ“. ამრიგად ეს დღე გამოაცხადეს კუბის „ბასამართლების დღედ“, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად საჯარო გასამართლების წინ მოეწყობა „კონსულტაციები“ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლატინურ ამერიკის ქვეყნების ელჩებს ან მინისტრებს კონფერენცია. დღის წესრიგში იქნება ვენესუელის მთავრობის პროვოკაციული საჩივარი ლათინურ ამერიკაში „კუბის ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ“. ამრიგად ეს დღე გამოაცხადეს კუბის „ბასამართლების დღედ“, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად საჯარო გასამართლების წინ მოეწყობა „კონსულტაციები“ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ამერიკის ქვეყნების ელჩებს ან მინისტრებს კონფერენცია. დღის წესრიგში იქნება ვენესუელის მთავრობის პროვოკაციული საჩივარი ლათინურ ამერიკაში „კუბის ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ“. ამრიგად ეს დღე გამოაცხადეს კუბის „ბასამართლების დღედ“, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად საჯარო გასამართლების წინ მოეწყობა „კონსულტაციები“ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ამერიკის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების

ცადაზიდული ბიჭვინთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ჩვენი ეპოქაა, ეპოქა!

ნანახი მოლოდინს აჭარბებს

ემრილის შესავალი მატარებელშივე მოვიფიქრეთ. უფრო სწორად, წერილის უშესავლოდ დაწერა გადავწყვიტეთ, ვინაიდან დრო ძალიან ცოტა გვქონდა, ხოლო სანახავი ძალიან ბევრი. თანაც, სხვა არა იყოს რა, ბრტყელ-ბრტყელი შესავლებმა უკვე საკმარისად დაღალა მკითხველი. მაგრამ ისტორიამ თავისი გაიტანა. მოგვეძალა. დინებას მიგვცა და კარგახანს ალმა-დღმა გვატრიალა. როგორც იტყვიან, წყალიც ბევრი გვაყლაპა და ნაპირიც ბევრჯერ მოგვანატრა.

ასე იყო თუ ისე, წარსულს მაინც ავუარეთ გვერდი. ვიდრე ბიჭვინთაში შევიდოდით, ძველ ბერძენთაგან დიდ პიტიუსად სახელდებულ ქალაქში აღმოვჩნდით. რამდენიმე წლის წინათ აქ ბრინჯაოს ხანის ათასგვარი ნივთები იპოვნეს. ჩვენს მისვლამდე ზუსტად ასოცდათოთხმეტი წლით ადრე ბიჭვინთაში იყო ფრანგი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, რომელმაც ძველი დიდების ნანგრევებსღა მიუსწრო და აღტაცებულმა დღიურში ჩაწერა: „აი ჩემ წინაშეა ერთ-ერთი ყველაზე დიდი და თვალწარმტაცი ნანგრევი, რომლის მსგავსი არსად არ მინახავს. ქება ბევრისაგან მსმენია, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახმა ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა“.

ეს სიტყვები წარსულს ეკუთვნის, ჩვენ კი ბიჭვინთის ხვალინდელ დღეზე ვწერთ. მეთხუთმეტე სართულიდან ხელისგულივით მოჩანს ამ რამდენიმე წლის მანძილზე აგებული ახალი საკურორტო ქალაქის ცადაწვდილი კორპუსები, სადაც ყოველწლიურად თითქმის ორმოცი ათასი ადამიანი დაისვენებს.

დამსვენებელთა შორის ბევრი უცხოელიც იქნება. ბუნებრივია, ჩამოვლენ დიუბუა დე მონპერეს საშობლოდანაც. და საკუთარი თვალით ნანახი კვლავ გადააჭარბებს ყოველგვარ მოლოდინს...

ამ წერილის წამკითხველთაგან ალბათ წელსაც და მომავალშიც ბევრი დაისვენებს ბიჭვინთის სასტუმრო-პანსიონატში, სადაც ახლა ათას ექვსასზე მეტი კაცი ტრიალებს დღენიადაგ, დილიდან შეადამებამდე.

ვინ არიან ისინი, ამ დიდსა და ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმეს რომ შესჭიდებიან? მზისკენ რომ აჭაყვთ სართულები? ცამდე რომ ამაღლებენ ბიჭვინთას?

აი სწორედ ამ ადამიანებზე გვინდა მოგითხროთ.

სამრთხის მშენებლები

ციყვარულს უშენებია მზით სავსე ცადაზიდული კორპუსები, საკურორტო დარბაზი, კინოთეატრი, სასადილო, საცურაო აუზი, ადმინისტრაციულ-საავაჭრო ცენტრი... მოუპირკეთებია სანაპირო, გაუყვანია წყალი... ადამიანს უშენებია ეს ყველაფერი თქვენთვის, ყველასათვის.

სამოთხის მშენებლები შემთხვევით როდი დავარქვით ბიჭვინთის მშენებლებს. ჩვენ ის მიწიერი სამოთხე გვაქვს მხედველობაში, რომელიც ჩვენს თვალწინ გადაშლა. იმ ორიოდე დღის მანძილზე, იქ რომ დავყავით და საკუთარი თვალით ვიხილეთ რაც გაკეთებულა და შევიგრძენით რაც უნდა გაკეთდეს.

ჩვენ ახლოს გავიცანით ადამიანები, და გული დაგვწყდა განშორებისას. ჩვენ ახლოს გავიცანით ადამიანები და დავრწმუნდით, რა არის შრომის სიხარული, საქმის ერთგულება. ათას ექვსას კაცზე მეტი ტრიალებს მშენებლობაზე და ყველანი დიდიდან პატარამდე ენთუზიაზმით შესჭიდებიან საქმეს, რა ვუყოთ ზოგჯერ თუ გვიან ღამემდე არ სცილდებიან სამშენებლო მოედნებს, ვერც ეტყვი სამუშაო საათები ამოიწურაო, არავის უთქვამს, არავის უბრძანებია. დაუწერელ შეგნებაზე დაფუძნებული კანონი მოქმედებს აქ; ვიდრე არ შეასრულებ დავალებას უმაღლესი ხარისხის დონეზე, ჩათვალე, რომ უქმად ყოფილხარ მთელ დღეს.

გორიდან ჩამოვიდნენ მომპირკეთებლები, მეექვსე კორპუსზე რომ მუშაობენ. ბრიგადირი თ. ლომიძე, მლესავი ი. ცხოვრებაშვილი, შემდუღებელი ნ. სვენტიცკი, დურგალი ჯ. ცერცვაძე. ეს მათი პირველი მშენებლობა როდია, მაგრამ აქ სულ სხვაა, ამბობს ჯ. ცერცვაძე, სად არ მიმუშავნია, მაგრამ ბიჭვინთა განსაკუთრებული ნაგებობაა, და რა გულმა უნდა გაგიძლოს, ბოლომდე არ მიიყვანო საქმე.

აქ მხარდამხარ შრომობენ ისინი, ვინც საძირკველი ჩაუყარა ბიჭვინთის მზიან სართულებს, და ისინი, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა მხრიდან ჩამოსულან. მეშვიდე კორპუსზე სამუშაოებს „თბილისმთავარმშენის“ № 9 სამშენებლო სამმართველო აწარმოებს. სასიხარულო ცნობა მიიღეს მათ. ბიჭვინთელებთან დასახმარებლად ჩამოსულმა თბილისელებმა ივნისის მუშაობის შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს. დიდი წვლილი მიუძღვით ამ საქმეში კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელს ნ. ლომიძეს, მღებავებს ვ. პისემსკის, ქ. ხიდაშელს, ი. კესოვსა და სხვებს.

ვის არ ნახავთ აქ, ონელ ს. სულთანაშვილს, ზესტაფონელ გ. პაპიძეს, ქუთაისელ ჰ. ქორიძეს, სვან გ. ონიანს, აფხაზ ს. ხაგუშას, სომეხ ხ. ფლავჩიანს, ბერძენ ი. ლაზარიდის. მრავალეროვანი და შედუღაბებული კოლექტივი შრომობს აქ, და საერთო საქმე კიდევ უფრო სჭედს და ადუღაბებს მეგობრობას.

მთელი საბჭოთა ქვეყანა აშენებს ბიჭვინთას. „ბიჭვინთმშენის“ მმართველის მოადგილე თ. გარსევანიშვილი გვეუბნება:

— თითქმის ყოველი მხრიდან მოდის მასალები, რუსთავიდან, დონბასიდან, არმავირიდან, მაიკოპიდან, ციმბირიდან, ურალიდან, ბალტიისპირეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან, ფინეთიდან, დიდი სიაა საჭირო, რომ მარტო ჩამოთვალო რას ვღებულობთ ან საიდან.

ტრესტის შენობაში გვიან ღამემდე ანთია სინათლე. მშენებლობის პულსი აქაც მძლავრად ჩქეფს. ჩვეულებრივი, ყოველდღიური დაგეგმარება. შეჯამდა განვლილი დღის ნამუშევარი და დაისახა ხვალინდელი დღის გეგმა. ყველაფერი გარკვეულია, ნათელია. იმდენად ნათელი, როგორც მაშინ, როდესაც არმიის სარდალი შეტევაზე გადასვლის საბრძოლო ბრძანებას აძლევს მებრძოლებს. როგორ გადდის ბრძანება ზემოდან ქვემოთ და თვითეულ ჯარისკაცამდე აღწევს. აქაც ასეა. არა, აქ ფრონტი არ არის. აქ მშვიდობიანი მშენებლობაა, და იმდენად უფრო ძვირფასია ეს საათივით აწყობილი მექანიზმი, მთელ მშენებლობას რომ მოიცავს.

გვიანამდე შემოვრჩით ტრესტში.

— ყველაზე ბედნიერი დღე ის იქნება, როცა დამსვენებლებს ვნახავთ სასტუმრო-პანსიონატში, — თქვა ტრესტ „ბიჭვინთმშენის“ მმართველმა ა. ბულიამ.

ა. ბულია 1943 წლიდან აშენებს. ალბათ არ არის დასავლეთ საქართველოში რაიონი, სადაც რაიმე არ აეგოს; ანარეის ტორფის ქარხანა, ტუნგოს საშრობი ქარხანა, ჩაის ფაბრიკები ბანდაში, ხობში, მუხაესტატეში, ჯვარში, საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები და ვინ მოსთვლის კიდევ რა.

ტრესტ „ბიჭვინთმშენის“ მთავარ ინჟინერს ტ. ჯიქიას მშენებლის თითქმის ოცი წლის სტაჟი აქვს, და ერთად რომ შევკრიბოთ, რაც მარტო მმართველსა და მთავარ ინჟინერს აუგიათ, ერთი მოზრდილი ქალაქი გამოვა, სართულებად რომ ვიანგარიშოთ, ალბათ კოსმოსში შევიჭრებოდით.

„საქმშენინდუსტრიის“ სამმართველოს უფროს ოლიფანტე გველესიანზე ღიმილით მოგვითხრეს. შემდეგ ჩვენც დავრწმუნდით, თუ რა ღიმილს მომგვრელი და გამამხნევებელია სიტყვა ოლიფანტე. ყველაფერი კი ასე დაიწყო: ერთ მშვენიერ დღეს ჩამოვიდა იგი ბიჭვინთაში და ორმოცი მომპირკეთებელი ჩამოიყვანა თავისი სამმართველოდან. არავინ ელოდა. კატეგორიულად განაცხადა:

— როგორ, ასეთი საქმე კეთდება და ჩვენ აქ არ უნდა ვიყოთ? აი ხალხი, გამოიყენეთ.

რამდენიმე ხნის შემდეგ თვითონ გაქრა. არავინ იცოდა საით წავიდა. ეძებდნენ. როცა დაბრუნდა, ყველაფერი გაირკვა. მოსკოვს წასულა საკუთარი ხარჯით. იქ სასტუმრო „როსიის“ მშენებლობაზე ყოფილა რამდენიმე დღე. უნახავს და შეუსწავლია მოსკოველ მომპირკეთებელთა სიახლენი. ჩამოვიდა და ბევრი რამ შეიცვალა ბიჭვინთის კორპუსების მოპირკეთებაში. ახლაც ეხუმრებიან მოუსვენარ და დაუღალავ მშენებელს:

— ოლიფანტე, მოსკოვს როდის მიდიხარ?

მაგრამ რამდენი სითბო და სიყვარული იგრძნობა ყველაფერ ამაში? ოლიფანტე მხიარულად შენების პაროლია ბიჭვინთაში.

სამმართველოებს ხელმძღვანელობენ გ. კვარაცხელია, ე. იაკობაშვილი, რ. კოპალიანი. მათ შორის ყველაზე უფროსი ოცდათორმეტი წლისაა, უმცროსი კი ოცდარვა წლისა. სამივეს ერთნაირი ბიოგრაფია აქვთ: ინსტიტუტი, მშენებლობა, ჯერ ოსტატი, შემდეგ სამუშაოთა მწარმოებელი, უბნის უფროსი... გიხარია, როცა მათ უყურებ — ახალგაზრდებს, ენერგიულებს და ცოტა არ იყოს გიკვირს, დიდი უბნები რომ აბარიათ, ასობით ადამიანს ხელმძღვანელობენ და ჩვეულებრივი ამბავია მათთვის ეს. მათზე გვითხრეს: ძირითადი სიძნელე მათზე გადადისო.

და მართლაც, ისინი ხომ უშუალოდ სამშენებლო მოედანზე არიან ყოველდღე, დილიდან დაღამებამდე.

როგორ არ უნდა ვთქვათ ნესტორ გიორგაძეზე, რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრის მოადგილეზე, რომელიც მშენებლობის დაწყების დღიდან აქ არის და უშუალოდ მონაწილეობს ყველა საკითხის გადაწყვეტაში. ღვაწლმოსილი მშენებელია და არა გვგონია საქართველოში იყოს ადამიანი, რომ არ იცნობდეს. არ გაეგონოს მასზე. რუსთავი უშენებია. დღესაც თავისი განუყრელი ჯოხით შორიდან ცნობს მას დიდი და პატარა.

ათას ექვსასზე მეტი კაცი ტრიალებს ბიჭვინთის სამშენებლო მოედანზე, სამი ათას ხუთასამდე ხელი დასტრიალებს აქაურობას, მზით გარუჯული სახეები და შრომით დაკოჟრებული მარჯვენა აქვთ ბიჭვინთის მშენებლებს, შრომის სიხარულით ფეთქავს მათი გული...

როდესაც მე-2 კორპუსის მეთხუთმეტე სართულზე ავედით და ქვევით გადაჭიმულ ტყესა და თეთრად ამოშვერილ კორპუსებს გავხედეთ, გული სიხარულით აგვევსო. შეიძლება ოდნავ სენტიმენტალურად ვიყავით ამ დროს განწყობილნი, მაგრამ ის კი ვიფიქრეთ, რომ დანაშაული მიგვიძღვის „ბიჭვინთმშენის“ მრავალრიცხოვანი კოლექტივის წინაშე, მათი შრომითი გმირობის მიმართ... მათი საქმისა და ნახელავის შესახებ ქვეყანას უნდა აუწყოთ, განა შეიძლება ამის დამალვა?

...ზღვა იყო ცისფერი და კრიალა, ტყე იყო მწვანე, შენობები თეთრი, მზე კი თვალისმომჭრელად ეკიდა ცაზე და ცადაზიდულ სართულებს თავისკენ უხმობდა.

მკაცრი დიალოგი ნეჟნისთან

ამართლიანი სიტყვა ცოტა მწარეა, მაგრამ რას იზამ, სიმართლეს ვერსად ვერ გაექცევი. აკი ძველებსაც უთქვამთ, მოყვარეს პირში უძრახე, მტერს ზურგს უკანაო. მაგრამ არც ის არის ახალი. ნათქვამი, რომ ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა.

თქმაც არის და თქმაც: შეიძლება კაცს ისე დაანახვო თავისი ნაკლი, რომ გული კი არ გაუტყდეს, პირიქით, საქმეს უფრო მონდომებით მოჰკიდოს ხელი და, ბოლოს, მადლობაც გითხრას, ნამდვილად დროზე შემეშველეო.

ამ პატარა შენიშვნას ალბათ სულაც გვერდს ავუვლიდით. „ბიჭვინთმშენის“ მრავალრიცხოვანი კოლექტივის უმრავლესობისათვის წყენა და გულის ტკენა რომ არ შეგვეტყო. პირველად, ცოტა არ იყოს, გაგვიკვირდა. ვიფიქრეთ, გაზეთის მუშაკებს ასე ეჭვის თვალით ალბათ იმიტომ გვიცქერიან, რაკი ამ უზარმაზარ მშენებლობაზე მაინცდამაინც ბევრს არა ვწერთო. მაგრამ უნდობლობის ბურუსი მალე გაიფანტა. მიზეზი სულ სხვა რამ აღმოჩნდა.

ძველი იგავ-არაკისა არ იყოს, ზოგიერთი ჟურნალისტი ბუზსა ხედავს და სპილოს ვერ ამჩნევსო, სიტყვა გადაგვიკრა ერთ-ერთმა მშენებელმა. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, პირდაპირ ვიტყვით. ამ რამდენიმე თვის წინათ ბიჭვინთაში ჩამოვიდა ჩვენი კოლეგა ა. ნეჟნი, გაზეთ „ტრუდის“ სპეციალური კორესპონდენტი, და იმის მაგივრად, რომ უკვე აშენებულისა და გაკეთებულის გამო ბევრი თუ არა, ორიოდე თბილი სიტყვა მაინც ეთქვა, მხოლოდ გასაკეთებელი დაინახა, ყველაფერს ეჭვის თვალით შეხედა, განგაში ატეხა, არიქათ, ქვეყანა იქცევაო, და ხელდახელ ლენცოფავით მწარე წერილი შეეკაზმა.

ჩვენ გულდასმით წავიკითხეთ ა. ნეჟნის წერილი — „ბიჭვინთა ერთ ადგილს ტკეპნის“. რასაკვირველია, ზოგიერთი რამ წერილში ალბათ თავის დროზე სწორად იყო შენიშნული, ოღონდ დამწერის მეტისმეტმა უიმედო განწყობილებამ ნამდვილად ძალზე გაგვაოცა და სწორედ ამის თაობაზე გვინდა ცოტა მკაცრად, მაგრამ მეგობრულად გავეპასუხოთ ჩვენს კოლეგას და მიკიბულ-მოკიბულად კი არა, პირდაპირ მივმართოთ, როგორც ჩვენი პროფესიის კაცს.

აი ჩვენ ეს-ეს არის თითქმის ძირის-ძირობამდე დავათვალიერეთ ნამდვილად გულისა და თვალის გამხარებელი ბიჭვინთის სასტუმრო-პანსიონატი, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის წინა დღეებში მიიღებს პირველ დამსვენებლებს. ეს, როგორც იტყვიან, ჰაერზე ნათქვამი სიტყვები კი არ არის, მტკიცე გადაწყვეტილებაა იმ ათას ექვსასზე მეტი კაცისა, ამ უზარმაზარ მშენებლობაზე რომ მუშაობს. ეს გადაწყვეტილება კი არც დღეს მიუღიათ და არც გუშინ. ამ რწმენით აქ წლების მანძილზე ამაღლებდნენ სართულებს.

თქვენ კი, ძვირფასო კოლეგავ, რატომღაც სწორედ მშენებლობის ამ რწმენაში, ამ გადაწყვეტილებაში შეგეპარათ ეჭვი და გულის გამტეხი ტონით იკითხეთ: აშენდება თუ არა კურორტი დათქმული ვადისათვის? მერე კითხვას იქვე პასუხიც მოაყოლეთ: ტრესტ „ბიჭვინთმშენის“ ხელმძღვანელები — მისი მმართველი ა. ო. ბულია, მთავარი ინჟინერი ტ. რ. ჯიქია, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი გ. ს. ვამაკიძე აცხადებენ: „აშენდება!“ მაგრამ რაც უფრო მეტ ხანს დაჰყოფ მშენებლობაზე, მით უფრო მეტად რწმუნდები, რომ ამ ხელმძღვანელი ამხანაგების რწმენით სავსე სიტყვებს ვერ განამტკიცებენ შესაბამისი საქმეები“.

ჩვენ კი სულ სხვა სურათი დავინახეთ — იმ რწმენით სავსე სიტყვებს სწორედ რომ შესაბამისი საქმეები მოჰყოლია და დღეს, როცა დათქმულ ვადამდე კიდევ სამი თვეა დარჩენილი, ბიჭვინთის ეს უზარმაზარი სასტუმრო-პანსიონატი უკვე საბოლოო სახეს იღებს.

იქნებ აჯობოს, ძვირფასო კოლეგავ, ერთხელ კიდევ გაიაროთ ბიჭვინთისაკენ და, რაც არ უნდა მცირე დრო დაჰყოთ, მაინც დარწმუნდებით ჩვენი ნათქვამის სიმართლეში.

თუ არა და, ფაქტი ჯიუტიაო, ამბობენ, — სანოემბროდ ბიჭვინთაში ერთად ჩავიდეთ, გვერდიგვერდ ავიღოთ ოთახები და საუბარიც იქ განვაგრძოთ.

წერილი, რომელიც დაიწერება

ოქტის ნათქვამი ხომ გახსოვს... უმღერდნენ ედემს და სამოთხეს... ალბათ საქართველო ედემად გამოჰყვეს, მასზე თუ გალობდნენ მგოსნები... შენ იცი, როცა ვისვენებ, არაფერი არ არსებობს ჩემთვის, ვცდილობ ცივილიზაციისაგან შორს ვიყო, არ ვკითხულობ გაზეთს, არ ვუსმენ რადიოს, წერილებით არ ვანებივრებ ნათესავებსა და მეგობრებს. მხოლოდ ვხეტიალობ ადგილიდან ადგილზე. აქ რომ ჩამოვედი, მეგონა ორ დღეს დავრჩებოდი, უკვე რამდენიმე დღე გავიდა და აღარსად ვაპირებ წასვლას, მაიაკოვსკიც იმიტომ გაგახსენე, ნამდვილ ედემში ვარ და ნუ გაგიკვირდება ჩემი აღტაცება. შენი სკეპტიციზმი გვერდზე გადადე ცოტა ხნით. თავიდან მოვყვები ყველაფერს.

ჩემო მეგობარო! შენ თითქმის მთელი მსოფლიო მოგვილია, მაგრამ მაინც სილამაზის ფასს ვერ გაიგებ, ვიდრე ბიჭვინთას არ ნახავ და არ დატკბები აქაურობით. გაისად წამოგიყვან აქეთ და გემრიელად ვიცინებთ, როცა შენი საოცრად არამეტყველი თვალები ალაპარაკდებიან.

მაშ ასე. ვცხოვრობ მეთოთხმეტე სართულზე, ოოჯია ზღვისაკენ გადის. მე არა ვარ მწერალი და ნუ შეგაწუხებენ ჩემი ეპითეტები: საოცარია, სამოთხეა, არაჩვეულებრივია, გრანდიოზულია. ადამიანებს რატომღაც გვაშინებს მათი წარმოთქმა, მეც მაშინებდა, ახლა კი სხვანაირად არ შემიძლია. როცა მზე ძალიან აჭერს, ტყეში დავსეირნობ, ამბობენ, მესამე ათასწლეულისაო. აქაური ზღვა საოცრად გამჭვირვალე და წყნარია, ყურეში იგი არასოდეს არა ღელავს და ნაპირიდან შორს შიგ რომ ჩაიხედო კენჭებს დაითვლი. ვფიქრობ კურორტი ხომ... მაგრამ დაწერილებით.

ყველაფერს დიდი გემოვნების დაღი აზის, ყველაფერი სიყვარულითა და საქმის ცოდნით გაუკეთებიათ, ფერები ისე საოცრად ერწყმის ზღვასა და ტყეს, გგონია არც არიანო. მოჩვენებითია, ისინი არსებობენ ყველგან, სხვადასხვაფერად შეღებილ ოოჯიებზე, სანაპიროზე, რომელიც დაგებულია თეორი, ყვითელი, ვარდისფერი ქვებით, რუხი ბაზალტით და მწვანე ბალახის ზოლით, ქვაფენილსა და სანაპიროს შუა რომ გასდევს მთელ სანაპიროს. თვით შენობები კი რუხი ბაზალტით არის ქვევით შემოვლებული. მასზე დგას უზარმაზარი შენობა. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს სოკოსავით არის ამოსული.

ეს დღეები მხოლოდ იმას ვაკეთებ, რომ კურორტზე ვხეტიალობ. არც ერთი შენობა არ დამიტოვებია, ყველგან შევიხედე, სხვადასხვა ფერის მარმარილოთი მოპირკეთებულია კედლები, განსაკუთრებით ჰოკებში რომ აგია, ფლეთილი თეთრი მარმარილო მომწონს. სულ შვიდი სასტუმრო-პანსიონატია და მათში ერთდროულად სამი ათასი კაცი დაისვენებს, ამბობენ, ათას ხუთასი ოთახიაო, თითო დღეს რომ იცხოვრო მათში, ხუთი წელიწადი დაგჭირდება.

გუშინ საღამოს კაფეში ვიჯექი. აქ კარგი ყავა იციან. უცხოელი ცოლქმარი (ინგლისურად ლაპარაკობდნენ. არ მიკითხავს, საიდან იყვნენ), შთაბეჭდილებას მიზიარებდა. სულ ბრავო, ბრავოს იძახდნენ. მერე ქალმა მკითხა, აქაურობის მეპატრონეს ძალიან დიდი შემოსავალი ექნებაო, ძალიან დიდი-მეთქი, უცნაურად მიამიტი ხალხია. საერთოდ უცხოელები ბევრნი არიან, ხომ იცი, ზოგიერთნი რა განებივრებულნი არიან და ყველაფერს ჩვენსას ალმაცერად უყურებენ. კიდევ კარგი, აქ ვერც ერთი უკმაყოფილო ვერ ვნახე. არც არიან. სინდისი არ ეყოფათ. ჩვენში უარყოფითს რომ ეძებენ, მივიდნენ და ესეც ნახონ!

ჯერ ვიფიქრე, რატომ ინჟინერი არა ვარ-მეთქი, ნეტავ მეც ამეშენებინოს აქაურობა, ახლა ვნახობ, მხატვარი რომ არა ვარ. აქაურობა ნამდვილად მხატვრის ფუნჯის ღირსია. კარგად აღარ მახსოვს, რამდენი საოცრებაა მსოფლიოში, მაგრამ ბიჭვინთა უთუოდ ერთ-ერთი მათგანია.

გაგიკვირდება ამდენი რომ მოგწერე. კიდევ უფრო გაგიკვირდება რამდენიმე დღეში ახალ წერილს რომ მიიღებ. სათქმელი ბევრი დამრჩა, ასაწერი მრავალი...

ასეთი წერილი ჯერ არავის დაუწერია, და თუ დაიწერება ორიოდე კაცი თუ გაიგებს, ვინაიდან სხვისი წერილების კითხვა მიღებული არ არის, მაგრამ გვჯერა, რომ კურორტ ბიჭვინთიდან, კერძოდ, ამ ახალი სასტუმრო-პანსიონატიდან გაგზავნილი ბარათები სწორედ ასეთი ხასიათისა და შინაარსისა იქნება.

ამბავი ძველი შუქურისა

ბიჭვინთის კონცხზე ჯერ კიდევ ამ ასი წლის წინათ დაუდგამთ ოცდათოთხმეტმეტრიანი შუქურა, რომელიც მსოფლიოს ყველა საზღვაო რუკაზეა აღნიშნული. მაგრამ თურმე ყველაფერს თავისი ყავლი აქვს...

ახალ რუკებზე (ამიერიდან რასაც დაბეჭდავენ) ძველი შუქურის ადგილს დაიჭერს ახალი შუქურა, რომელიც მერვე კორპუსის მეთხუთმეტე სართულზეა ატანილი და, როცა ამუშავდება, ოთხივე მხრივ გაანათებს.

აქ შეიძლებოდა ლირიკული წიაღსვლისათვის მიგვემართა და გულის ამაჩუყებელი სიტყვებით აგვეწერა, როგორ იმდაღრება გულმოკლული ბებერი შუქურა, ერთ დროს იმედივით რომ ენთო. მაგრამ არა ღირს. ამ ხერხს დღეს მეტისმეტად გულუბრყვილონი მიმართავენ.

ერთი კი უთუოდ უნდა ითქვას: შეუძლებელია უზარმაზარ კორპუსებს შუა ჩამდგარ ამ ძველ, თითქოს მობუზული შუქურას მოჰკრა თვალი და სიბრალულის გრძნობამ არ შეგიპყროს.

პირველად გადაწყვეტილი ჰქონდათ აეღოთ. შენობების ანსამბლს ხელს უშლისო, საქმის ცოდნით განაცხადა ზოგიერთმა. მაგრამ ისევ გონიერი კაცის მართალმა სიტყვამ გაჭრა, და ბებერი შუქურა სიკვდილს გადარჩა. არა, ის ხელს არ-ფერს არ უშლის. პირიქით, ამ შესანიშნავი საკურორტო ქალაქის ცადაწვდილ ნაგებობათა გვერდით დგას როგორც ისტორიის მრავლისმომსწრე ძეგლი, რომელსაც ამიერიდან მხოლოდ ხანდახან თუ აანთებენ. მაგრამ სამაგიეროდ აქ, გარდა ახალი შუქურისა, ყოველღამ საყვარლად აბდღვრიალდება ათეულ ათასობით ნათურა...

ერთი სიტყვით, რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, ბიჭვინთის, ამ უზარმაზარი მშენებლობის მთელ სიდიადეს მაინც ვერ გადმოვცემთ. ასეთი რამ ადამიანმა აუცილებლად თავისი თვალით უნდა ნახოს.

გ. გოგიაშვილი,
ო. ლორთქიფანიძე,

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

ბიჭვინთა-თბილისი. აგვისტო.

ფოტოსურათები ვლ. გინზბურგისა.

თქვენს მარჯვენას დალოცავენ!

სურათზე: აი ზოგი მათგანი, რომელთა მარჯვენით შენდება კურორტი (მარცხნიდან) ტრესტ „ბიჭვინთმშენის“ № 2 სამმართველოს მოწინავენი — მემონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელი ი. გოგბაშაძე, კომპლექსური ბრიგადის მეთაური შ. ბერიძე, ქვისმთლელი ა. ბაბლოშვილი, მემონტაჟე ი. შუბითიძე. იზოლაციის სამუშაოთა ხელმძღვანელი მ. გოგებაშვილი, ბრიგადირი რ. გოგიაშვილი, „მთავარობილისმშენის“ მე-9 სამმართველოს დურგალი ს. ძაბანია, ქუთაისის № 4 ტრესტის დურგალთა ბრიგადის ხელმძღვანელი ი. მამარდაშვილი, ამავე ტრესტის სამუშაოთა მწარმოებელი ვ. ლომაძე.

ეს შენი ვაჟლია, ოქტომბერო!

შს სურათი ორიოდე დღის წინათ არის გადალებული მეორე კორპუსის მეთხუთმეტე სართულიდან, აქ რამდენიმე თვეში პირველი დამსვენებლები ამოვლენ და შესანიშნავი სანახაობით დატკბებიან.

აქ კაფე და სოლარიუმი იქნება, ახლა კი უკანასკნელი დამამთავრებელი სამუშაოები მიმდინარეობს. აქედან კარგად მოჩანს ბიჭვინთის თითქმის მთელი კონცხი, მოჩანს მეზობელი კორპუსების ტყიდან ამოშვერილი თეთრი თაგები, მოჩანს ზღვა... თაგბრუდამსვეგ სიმაღლეზე ასულან მშენებლები, შეუჩვეველ კაცში ცოტა არ იყოს შიშსაც იწვევს, მაგრამ ადამიანი სწრაფად ეჩვევა უჩვეულო სიმაღლეს და ალტაცების გრძნობები ყველაფერს სჯარბობს.

სულ მალე, საიუბილეოდ, ბიჭვინთის სასტუმრო-პანსიონატი ფართოდ გაადგებს კარებს პირველი სტუმრებისათვის. აუცილებლად ადით მეთხუთმეტე სართულზე და თქვენ თვითონ დარწმუნდით, რა წარმტაცია იქაურობა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



საბჭოთა სპორტის ტრიუმფი

შედეგები, მიღწევები, პერსპექტივები

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა საიუბილეო წლის ყველაზე დიდი სპორტული დღესასწაული იყო ყველა საბჭოთა სპორტსმენისათვის, ჩვენი ქვეყნის მთელი ფიზკულტურული მოძრაობისათვის. იგი ყველაზე მასობრივი საპარეზობა იყო საბჭოთა სპორტის ისტორიაში.

სპარტაკიადის დღეებში მთელი ჩვენი ქვეყანა უზარმაზარი სტადიონად იყო. სპარეზობანი გაიმართა 150 ათას ფიზიკური კულტურის კოლექტივში. ამ შეჯიბრებებმა გამოავლინეს ახალი ნიჭიერი სპორტსმენები.

საიუბილეო სპარტაკიადა იყო კომპლექსური შეჯიბრება, ფიზიკური კულტურიები მიმდინარეობდა მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს შორის 19 სახეობის სპორტში, მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებ გუნდებს შორის 38 სახეობის სპორტში (მათ შორის 10 ტექნიკურ სახეობაში).

ბათამაშდა 2.189 მედალი. ამათ შინ წაიღეს 14 მოკავშირე რესპუბლიკის სპორტსმენები.

სპარტაკიადაზე სპორტული ბრძოლა განსაკუთრებით მწვავე და დაძაბული იყო. სპარტაკიადის დროს დამყარებულია 16 ახალი მსოფლიო მიღწევა, გაუჯობესებულია 1.007 სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური რეკორდი.

სპარტაკიადამ ახახა სოციალისტური მშენებლობის უდიდესი წარმატებანი 50 წლის მანძილზე, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურის ამაღლება. მან ცხადყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ჩვენი ქვეყანა ფიზკულტურულ მოძრაობაში მოსდა დიდი და მნიშვნელოვანი ცვლილებანი. იგი საყოველთაო სახალხო გახდა, რომელიც ეფრდნობა ჩვენი სახელმწიფოს მიერ შექმნილ მატერიალურ ბაზას.

სპარტაკიადა იყო საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხების ფიზიკური კულტურისა და სპორტის გაფურჩქვნის მკაფიო დადასტურება, ჩაიარა შეგობრობისა და პატიოსანი სპორტული მეტოქეობის ატმოსფეროში. მან ცხადყო საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის მაღალი დონე, დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1968 წლის მექსიკის საზაფხულო ოლიმპიური ასპარეზობისათვის მზადებაში.

სპარტაკიადის მთავარი პრიზი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი პრიზი საერთო-გუნდური კომპლექსური ჩათვლაში პირველი ადგილის მოპოვებისათვის (მოსწავლეთა და მოზრდილთა სპარტაკიადები, შეჯიბრება სპორტის ტექნიკურ სახეობებში და ფიზიკური კულტურის საწარმოო კოლექტივებს შორის) მოიპოვეს მოსკოველმა სპორტსმენებმა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი პრიზები მიიღეს აგრეთვე რუსეთის სფსრ ნაკრებმა გუნდმა (ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნაკრები გუნდი), უკრაინის, ლენინგრადისა და საქართველოს ნაკრებმა გუნდებმა, რომლებმაც შესაბამისად მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილები აიღეს.

საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის სამასხოვრო პრიზები ქარხნების, ფაბრიკების, შახტებისა და მშენებლობათა, ფიზიკური კულტურის საწარმოო კოლექტივებს შორის პირველი-მეხუთე ადგილების მოპოვებისათვის მიიღეს რუსეთის ფედერაციის პროფკავშირთა ნეგაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებამ, მოსკოვის პროფკავშირთა საქალაქო საბჭომ, უკრაინისა და ლიტვის პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭოებმა.

სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის პრიზები გადაეცათ აგრეთვე უაზახეთის სსრ კოლექტივს, რომელმაც შესძლო სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე მე-12 ადგილზე გამოსვლის შემდეგ ახლანდელ სპარტაკიადაში მეშვიდე ადგილი დაეკავებინა, და თურქმენეთის სსრ კოლექტივს, რომელსაც თავის შემადგენლობაში, უყველაზე მეტი 18 წლის სპორტსმენი ჰყავდა.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალურმა საბჭომ ქალთა გუნდებს შორის საუკეთესო შედეგების მოპოვებისათვის გარდამავალი პრიზები გადასცა მოსკოვის, რუსეთის სფსრ, უკრაინის, ლენინგრადისა და ბელორუსიის გუნდებს.

გარდა ამისა, სხვადასხვა მაჩვენებლებისათვის: სპორტული ოსტატობის განვითარებისათვის, რეკორდების დამყარებისათვის, ახალგაზრდა სპორტის ოსტატებისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების მომზადებისათვის გადაეცათ სამახსოვრო პრიზები, რომლებიც დაჯილდეს საკავშირო პროფსაბჭომ, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახეპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალურმა საბჭომ.

დამთავრდა ფინალური ასპარეზობანი, მაგრამ სპარტაკიადის ალმები ჯერ კიდევ იფრიალებენ ჩვენი ქვეყნის ათასობით სპორტულ ნაგებობაზე. დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სპარტაკიადის სტარტზე ჯერ კიდევ გამოვლენ ჩვენი ფიზიკურად უწვდენი საშობლოს ქალაქებისა და სოფლების ფიზკულტურული კოლექტივების სპორტსმენები.

მსაჯთა მთავარი კოლეგია დიდ ქმაყოფილებას გამოთქვამს გმირი ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის სტუმართმოყვარეობის გამო, რომლებმაც ყველა პირობა შეუქმნეს სპარტაკიადის მონაწილეებსა და ხტუმრებს. მას სჯიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ სპარტაკიადის მონაწილენი იყვნენ დისციპლინირებული და პატიოსნად იბრძოდნენ ამხანაგურ ვეთარებაში, მადლობას უხდის სპორტულ ჟურნალისტებს, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებს გაზეთებში, ჟურნალებში, ეთერში და ტელევიზორთა ეკრანებზე IV საიუბილეო სპარტაკიადის გაშუქებისათვის (საკვლევი).

ფინიში

საბჭოთა ხალხმა საიუბილეო სპარტაკიადის სახით ერთიელ კიდევ აღნიშნა სპორტსმენთა გრანდიოზული დღესასწაული.

მძლეოსნებმა უკანასკნელ დღეს კიდევ რვა ფინალი გაითამაშეს. სამმაჯ ხტომაში ოქროს მედალი გადაეცა მოსკოველ ნ. დუდნიკოვს —16 მეტრი და 56 სანტიმეტრი. ვ. სანდეევმა (საქართველო) მეოთხე ადგილი დაიკავა —16 მეტრი და 43 სანტიმეტრი. ქალთა შორის შუბის ტყორცნაში ჩემპიონი გახდა ლენინგრადელი მ. მოსალენკო —55 მეტრი და 84 სანტიმეტრი, მძლეოსნურ ხუთიდში — ვ. ტიხომიროვა (რსფსრ) —4.946 ქულა, ვაჟთა შორის 1500 მეტრზე რბენაში — ო. ვასილო (ლენინგრადი) —3 წუთი და 47,7 წამი, 5 ათას მეტრზე რბენაში—ბ. ხლიბოვი (ლატვია) —13 წუთი და 39,2 წამი, 200 მეტრზე თარჯრბენში — ე. ოზოლინი (ლენინგრადი) — 23 წამი, 400 მეტრზე რბენაში — ბ. სავჩუკი (ლენინგრადი) — 46,9 წამი, ქალთა შორის 1500 მეტრზე რბენაში — თ. დუნაისკაია (უკრაინა) — 4 წუთი და 20,7 წამი, რაც ევროპის ახალი რეკორდია.

მძლეოსნობაში გუნდური პირველი ადგილი რსფსრ-ის კოლექტივს ხვდა — 125.667 ქულა. საქართველოს ნაკრები მე-9 ადგილზეა — 90.567 ქულა.

წყალბურთში უკანასკნელი მატჩების შედეგები ასეთია: უკრაინა-აზერბაიჯანი — 2:2, რსფსრ — საქართველო — 1:2, ლენინგრადი-მოსკოვი — 4:5. პირველ ადგილზე გამოვიდა მოსკოველ გუნდი. საქართველოს წყალბურთელებს ბრინჯაოს მედალი ერგოთ.

ჩოგბურთში შერეულ წყვილთა შეჯიბრებებში ოქროს მედალი მოიპოვეს ო. მორეროვამ და ვ. ზგერეროვმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ა. ივანოვა და ს. ლენინგრადი. ა. დმიტრიევა და ა. მეტრეველი მესამე ადგილზე არიან, რ. აბაშაძეძეა და თ. ბაბუნია — მეხუთეზე. ვაჟთა წყვილებში თ.ლეონეს და თ. ბაბალია მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ, ქალებში — აბაშაძეძე და ბენი — მესამეზე. ერთეულთა შეჯიბრებაში რ. აბაშაძეძე მეხუთე ადგილზე გამოვიდა.

სპორტის სასახლის რინგზე ფინიში ჰქონდათ მოკრივეებს. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. სემენოვი (რსფსრ), ნ. ნოვიკოვი (რსფსრ), ო. ბრეზროვი (მოსკოვი), ვ. პლოტნიკოვი (მოსკოვი), ვ. ბელოუსოვი (რსფსრ), ე. ფროლოვი (მოსკოვი), ვ. ფუსალიმოვი (უკრაინა), ვ. აბიმეი (რსფსრ), ს. სტრუშკასენი (რსფსრ), ი. პოზნიაკი (ლიტვა), ა. ბოზინიმოვი (რსფსრ). გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი რსფსრ-ს გუნდს ხვდა. ჩვენი მოკრივეები მეთერთმეტე ადგილზე გამოვიდნენ.

მძიმე წონის ძალოსანთა შორის წარმატება უკრაინელმა ლ. ბაბოტინსკიმ მოიპოვა —585 კილოგრამი. მან ამასთან მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცცა (175,5 კილოგრამი) და აკვრაში (219,5 კილოგრამი). გუნდური პირველი ადგილი უკრაინელებმა მოიპოვეს. საქართველოს გუნდი მეშვიდე ადგილზე გამოვიდა.

რსფსრ-ის ქალებმა „მა-ნ" სტანდარტთა და უკრაინის ვაჟებმა „პვ-3 ით" სროლაში სპარტაკიადისა და საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდები დაამყარეს. სასამსახურო მსხვილკალიბრიანი შაშხანით 300 მეტრზე სამი მდგომარეობიდან სროლაში (60 გასროლა) შ. ქელიანშვილმა 560 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა. საქართველოს ტყვიის მსროლელებმა გუნდურ ჩათვლაში მეექვსე ადგილზე გამოვიდნენ.

მცურავთა უკანასკნელ ასპარეზობებში ჩვენების თვალსაჩინო წარმატება არ ჰქონიათ ისინი უძლიერესთა ექვსეულში ვერ მოხვდნენ. გუნდური პირველი ადგილი მოსკოველებმა დაიკავეს, საქართველოს გუნდი მეცხრე ადგილზეა.

ფინალში საქართველოს დაშნით მოფარიკაჟეებმა მოუგეს აზერბაიჯანის გუნდს — 8:5 და მეშვიდე ადგილი დაიკავეს. საერთო-გუნდურ ჩათვლაში ჩვენი მოფარიკაჟეები მეხუთე ადგილზე აღმოჩნდნენ.

წყალში მხტომელთა შორის წარმატება მოსკოველებმა მოიპოვეს, კოშკურიდან ხტომაში ვაჟებს შორის უძლიერესი იყო მოსკოველი ვ. სანუნოვი. ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის პირველი ადგილი თ. პოგოდინამ დაიასაკთა. ამ შეხვედრებში ჩვენი გუნდის წარმომადგენლები უძლიერესთა ექვსეულის მიღმა დარჩნენ.

წელს სპარტაკიადის პროგრამაში პირველად იქნა შეტანილი სპორტის ტექნიკური სახეები. აქ ჩვენებმა 188 ქულით მეშვიდე ადგილი დაიკავეს. პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა: რსფსრ —246 ქულა, მოსკოვი —234 ქულა და უკრაინა — 230 ქულა; რაც შეეხება ფიზკულტურული კოლექტივების მაჩვენებლებს, მეექვსე ადგილზე ვიმყოფებით.

ვ. ბაბელია,
„კომუნისტის" სპეც. კორ.
მოსკოვი. 4 აგვისტო.

ბოლო სვეტზე

ღრუბელთმიერი ნაპოვნი

თორმეტი ალპინისტი ორ დღეს უტევდა უსახელო კლდეს ილინიმერ ალათაოში, რათა ჩამოეღო იშვიათი ფრინველის — წითელი მთიულას ბუდე. ალპინისტები ასრულებდნენ ორნითოლოგთა თხოვნას, რომლებმაც შენიშნეს, რომ ეს იშვიათი ფრინველი ბუდობს მიუწვდომელ კლდეზე. უნიკალური ნაპოვნი — ბალახის ღერო